რედაქტორისგან

რადგან ჟურნალ „მასწავლებლის“ რედაქტორი ვარ, ჩემს ნაცნობებსა და ახლობლებს აქვთ განცდა, აუცილებლად მეცოდინება, სად და რომელ სკოლაში უნდა მიიყვანონ მათი სასკოლო ასაკის შვილები.

სიმართლე გითხრათ, ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს. მეტიც, ყველაზე მეტად მიჭირს, ასეთ დროს ვიყო – კომპასი.

რედაქტორის ამ წერილში, მასწავლებლის პროფესიის სირთულზე და იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს თანამედროვე მასწავლებელი და სკოლა, არ ვისაუბრებ. ამაზე ხშირად ვწერთ და ვკამათობთ.

ერთ ასპექტზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას. თუმცა, ეს ერთი ასპექტიც მრავალწახნაგოვანია და სკოლას და მასწავლებელს გვერდს ვერ აუვლის.

უახლესმა ტექნოლოგიურმა გამოგონებებმა დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე: კომუნიკაციაზე, თანამშრომლობაზე, სწავლაზე, სწავლებაზე.

ხშირი გახდა ისეთი ტერმინის მისადაგება მასწავლებელთან მიმართებაში, როგორიცაა – 21-ე საუკუნის.

ამასწინათ ერთ-ერთ ინტერნეტგამოცემაში წავიკითხე, თუ როგორ ახასიათებდნენ 21-ე საუკუნის მასწავლებელს. შევეცდები მოკლედ მოგიყვეთ:

მას უნდა შეეძლოს: მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება და ინდივიდუალურად ინსტრუქციების მიცემა, ახალი ტექნოლოგიების ათვისება. უნდა ეცნობოდეს მათ განვითარებას მუდმივად. იყოს გლობალური, მოქნილი. ჰქონდეს უნარი გახდეს ბლოგერი და წეროს. ციფრული წიგნიერება აუცილებელია, რადგან გაუადვილებს ელექტრონული პორტფოლიოს წარმოებას. მოსწავლეებთან ერთად ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნას პრეზენტაცია. ელექტრონული ფოსტით შეძლოს ვიდეო, ციფრული რესურსის, დოკუმენტების გაცვლა-გამოცვლა, ასევე შეძლოს პროექტზე დაფუძნებული სწავლება, შექმნას საკუთარი ციფრული ნაკვალევი – რადგან დღეს მასწავლებელი არის მოდელი სოციალური მედიის გამოყენების პროცესში, ის ტვირთავს ფოტოებს, აზიარებს ინფორმაციას, საკუთარ აზრებს. ამ ყველაფრის სწორად გამოყენება უნდა შეძლოს საკლასო ოთახში. და რაც მთავარია, უნდა გააგრძელოს სწავლა, რადგან სხვაგვარად მისი პროფესიული განვითარება, წარმოუდგენელია.

ასეთ 21-ე საუკუნის მასწავლებელს, მხოლოდ მათი დაუფასებელი შრომის აღიარებით, მცირე ანაზღაურების პირობებით და ბოდიში მოხდით ვერ მივიღებთ. სხვა გზები და იმედები უნდა გაჩნდეს, რომ მასწავლებლმა გაითავისოს არჩეული პროფესია, ყოველდღიური შრომის, ცოდნის განახლებისა და დაფასების ხაზზე გადის. ამის შესახებ ხშირად ვწერთ და ვსაუბრობთ. როგორც ჩანს, ისევ უნდა გავაგრძელოთ ფიქრიც და კამათიც.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

მასწავლებელი

N4(41), 2016

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149

UDC 371.1 / ბ-374

მთავარი რედაქტორი: ნატო ინგოროყვა | **რედაქტორები:** მანანა ბოჭორიშვილი, ნანა მაჭავარიანი | **რედკოლეგია:** გიორგი მაჩაბელი, მანანა რატიანი, მარიკა სიხარულიძე, ნათია ნაცვლიშვილი | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

ნომერზე მუშაობდნენ: მაია ჯალიაშვილი, მაია ფირჩხაძე, თამარ მოსიაშვილი, ანა ჯანელიძე, ცვატა ბერძენიშვილი, მანანა ბოჭორიშვილი, ნინო ლომიძე, ხათუნა მჭედლიშვილი, თამთა დოლიძე, ინა იმედაშვილი, ნინო კაპანაძე, თეონა ბექიშვილი, ქეთევან ოსიაშვილი.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

ექსპერტი

8 | **ლაბორატორიული სამუშაო — ისტორიისა და სამოქალაქო განათლების შესწავლის ეფექტური საშუალება**

მაია ფირჩხაძე

სწავლების ლაბორატორიული მეთოდი, ანუ კვლევითი ფორმით სწავლება ხელს შეუწყობს ისტორიისა და სამოქალაქო განათლების სწავლებისას მაღალი შედეგების მიღწევას, საგნის მიმართ ინტერესის ამაღლებას, მიმდინარე მოვლენების, საზოგადოებრივი პროცესების სწორად აღქმისა და ანალიზის უნარის გამომუშავებას.

19 | **ინკლუზიური განათლების პრაქტიკა საქართველოში**

თამარ მოსიაშვილი

ინკლუზიური განათლების დანერგვა არ იქნება ეფექტური, თუ სახელმწიფო დიდ ძალისხმევას დახარჯავს სხვადასხვა სტანდარტისა და უნიფიცირებული პროგრამის შემუშავებაში, თუ სახელმწიფო იქნება ერთადერთი მოთამაშე მის მიერვე დადგენილი სტანდარტების დანერგვის პროცესში, თუ სახელმწიფო თავად შეაფასებს მის მიერვე შემუშავებული სტანდარტების ხარისხსა და დანერგვის შედეგებს.

საგანმანათლებლო რესურსი

52 | **„ელფების ფანჯრები და კრისტალები“**

ინა იმედაშვილი

ნებისმიერი ჩვენგანის იმ პიროვნებად ჩამოყალიბებაში, როგორებიც დღეს ვართ, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს დაწყებითი კლასები – ამ ასაკში ფორმირდება ხედვა, ღირებულებები, სურვილები, მისწრაფებები. ასე ვთქვათ, ჩვენს ცნობიერში იტვირთება ჩვენი სამომავლო მე.

რესურსი

32 | **ტერმინების ტყვეობაში: სილაბუსი**

თამთა დოლიძე

ენა კომუნიკაციის მთავარი იარაღია, სიტყვიერი კომუნიკაცია კი გარე სამყაროსთან ადაპტირებისა და სოციუმში ინტეგრირების უნარს ავითარებს. გადატვირთული ტერმინოლოგიით მოსაუბრე ადამიანი განსაკუთრებულ დისკომფორტს ბავშვებს უქმნის, რადგან მათ უჭირთ საუბრის შინაარსის სრულყოფილად გაგება და მოსაუბრის დამოკიდებულების სწორად განსაზღვრა.

40 | **მაჩერებებით სწავლა**

ხათუნა მჭედლიშვილი

თავისუფალი მუშაობისას ვითარდება სასწავლო პროცესები, რომლებიც საბოლოოდ შემეცნებასა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ცოდნაში გადაიზრდება. რამდენადაც კვლევის საგანს თავად მსწავლელი ირჩევს, იზრდება არა მარტო სწავლის მცდელობის ინტენსივობა, არამედ სწავლის პროცესში წარმოიქმნება დამოუკიდებლად გაგების/გააზრების სტრუქტურებიც.

46 | **ზიგზაგის მეთოდი მოცულობითი ტექსტის დამუშავებისთვის**

ნინო ლომიძე

მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც მოსწავლეებმა მცირე დროში უნდა მოახერხონ დიდი რაოდენობით ტექსტის, პარაგრაფის, ინფორმაციის დამუშავება.

შინაარსი

მოსაზრება

4 | **მაია ჯალიაშვილი**
სწავლების ოსტატობის საიდუმლო

გამუდმებით საჭიროა სასწავლო მეთოდების, ცოდნის შეძენის გზების შეცვლა, გამრავალფეროვნება, სტერეოტიპების უარყოფა და შაბლონების განახლება, პრაქტიკული გამოცდა ყველა იმ თეორიული გამოცდილებისა, რომელსაც სხვადასხვა წყაროდან იღებს პედაგოგი.

25 | **მანანა ბოჭორიშვილი**
გამოცდილების მიღება პირდაპირი დაკვირვებით

პედაგოგებს, რომლებიც ატარებენ სამოქმედო კვლევას, შესაძლებლობა ეძლევათ, მოახდინონ დაკვირვება საკუთარ კლასში. პირდაპირი დაკვირვება მასწავლებლისთვის არის ნაცნობი და არ მოითხოვს დიდ დროს. სამოქმედო კვლევა მკვლევარ-მასწავლებელს სთავაზობს სისტემატურ და ზუსტ გზას, დაკვირვების პროცესი აღიქვას როგორც ხარისხობრივ მონაცემთა შეგროვების მეთოდი.

36 | **ანა ჯანელიძე**
კვლევა ბავშვებთან ერთად: მრავალფეროვანი მეთოდები

ბავშვებსა და მათ შემოქმედებაზე ობიექტური და თანმიმდევრული დაკვირვება, ვერბალური თუ არავერბალური გზებით გამოხატული მოსაზრებების, ემოციებისა და დამოკიდებულებების შესწავლა და ინტერპრეტაცია ეხმარება მასწავლებლებს ბავშვების საჭიროებებისა და ინტერესების უკეთ გააზრებაში და, მათი პერსპექტივის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში.

48 | **თეონა ბექიშვილი**
მე რეპეტიტორი ვარ!

საიდუმლო არაა – სკოლაში მასწავლებელი ყველანაირი შეიძლება იყოს, ძალიან კარგით დაწყებული, ძალიან ცუდით დამთავრებული, მაგრამ სულ რომ არ ვარგოდეს, რაღაც ნიადაგს მაინც უქმნის ბავშვს სამომავლოდ. სულ მცირე, საპროგრამო ტექსტები გაგონილი მაინც აქვს ბავშვს და გაცილებით იოლი ხდება რაღაც ცოდნაზე ახლის დაშენება, ვიდრე საერთოდ ნულიდან დაწყება.

გამოცდილება

12 | **ნინო კაპანაძე**
პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა: თემას გამოცდილება გვკარნახობს

ნებისმიერი პრაქტიკული კვლევისათვის, რომელსაც პედაგოგიური კვლევებიც მიეკუთვნება, ყველაფერი პრობლემის შერჩევით იწყება. როგორც სოციოლოგები ამბობენ, კვლევა არ უნდა იქცეს „ლია კარის მტვრევად“. ანუ საკვლევი საკითხი უნდა იყოს აქტუალური სასკოლო თემში.

16 | **ცვატა ბერძენიშვილი**
მოსწავლეთა თვითმენეჯმენტი

თუ განათლების მიზანია, აღზარდოს თვითგანათლების უნარის მქონე ხალხი, მაშინ მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ საკუთარი ცხოვრების მართვა, მიზნების დასახვა და თავიანთი განმამტკიცებლების მიღება.

23 | **ქეთევან ოსიაშვილი**
კონკურენტული სწავლება და თვითშეფასება

არსებობს სერიოზული საფრთხე, რომ კონკურენტული სწავლების ფორმის სისტემატურმა გამოყენებამ ბავშვს, რომელიც გამუდმებით მარცხს განიცდის, დაუქვეითოს თვითშეფასება და საკუთარი ძალების რწმენა, რაც მის სასწავლო მოტივაციაზე უარყოფითად იმოქმედებს